წინ მეორე შეხვედრაა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) – „სტანდარდი“ (ლიეჟი) 0:1 (0:1).

„დინამო“: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, ცავა, გუცაევი (ჟვანია, ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

„სტანდარდი“: პრიუდომი, გერეტსი, ენგელბერტი, პული, მეუვსი, ვანდერსმისენი, ტაჰამატა, პლესერი, ჰაანი, დაარდენი, ბოტერონი.

მსაჯი: ჰ. ბრუმაიერი (ავსტრია).

გააფრთხილეს პრიუდომი და სულაქველიძე.

მაყურებლები – 88. 400.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ყველაფერი (ან თითქმის ყველაფერი), რაც კი ვიცოდით ლიეჟის „სტანდარდის“ შესახებ: რომ იგი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ბელგიის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია, რომ მის შემადგენლობაში მუდამ გამოდიოდნენ როგორც ბელგიელი, ისე უცხოეთიდან მიწვეული უძლიერესი ფეხბურთელები, რომ მას შარშანდელიდან სათავეში უდგას საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელი რ. გუტალსი, შეძლებისდაგვარად დავახასიათეთ ცალკეული მოთამაშეები და ა.შ.

გავიხსენეთ ისიც, რომ „სტანდარდი“ და თბილისის „დინამო“ ერთხელ უკვე შეხვედრიან ერთმანეთს ამხანაგურ მატჩში (ლიეჟი, 1959 წლის 17 ნოემბერი) და გაიმარჯვეს მასპინძლებმა – 2:1, რომ 1971 წელს „სტანდარდმა“ ჩემპიონთა თასის მერვედფინალიდან გამოთიშა მოსკოვის ცსკა.

მაგრამ კიდევ და კიდევ ვაპყრობდით ყურადღებას იმ ამბავს, რომ „სტანდარდს“, თუმცაღა იგი 1958 წლიდან მონაწილეობს ევროპულ საკლუბო გათამაშებებში, დღემდე არ ჰქონია რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი წარმატება. ნახევარფინალი, როგორც ახლა, მისი უმაღლესი მიღწევა. 1962 წელს ჩემპიონთა თასის ფინალისკენ ბელგიელებს გზა გადაუღობა მადრიდის „რეალმა“, 1967 წელს კი თასების მფლობელთა თასზე – მიუნხენის „ბაიერნმა“. ახლა „სტანდარდს“ ნახევარფინალში წილისყრამ მეტოქედ არგუნა თბილისის „დინამო“.

თბილისში ჩამოსვლისას გამართულ პრესკონფერენციაზე „სტანდარდის“ მწვრთნელმა რ. გუტალსმა განაცხადა, რომ სწორედ ამ პირველ მატჩს აქვს უდიდესი მნიშვნელობა და თბილისის „დინამოსთან“ მინიმალური სხვაობით წაგებაც კი სავსებით აძლევს მას ხელს.

„სტანდარდისა“ და ბელგიის ნაკრების კაპიტანმა ე. გერეტსმა განაცხადა, რომ მიუხედავად თბილისის „დინამოს“ დიდი ავტორიტეტისა, მისი გუნდი ყველაფერს იღონებს წარმატების მოსაპოვებლად. კლუბის საუკეთესო თავდამსხმელმა ს. ტაჰამატამ თქვა, რომ მისი გუნდი ახლა ბელგიის ჩემპიონატის ლიდერია, კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფება და სრული საბრძოლო განწყობილებით ჩამოვიდა თბილისში. სტუმრების ცნობილმა ნახევარმცველმა ა. ჰაანმა ამას დაუმატა, რომ მისი გუნდი თბილისში ერთ ბურთს მაინც გაიტანს.

„სტანდარდის“ ხელმძღვანელისა და საუკეთესო ფეხბურთელთა ამ სიტყვებში ბევრი რამ იყო ისეთი, რაც თვით მატჩის მსვლელობაში გამართლდა. ბელგიელთა ეს გუნდი მართლაც ძალზე ძლიერია, ტაქტიკურად გამართული, მაღალტექნიკური, საუკეთესოა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადებაც. ამას გარდა, საკუთრივ დავრწმუნდით, რომ ბელგიის ჩემპიონატის ლიდერი ახლა შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

მატჩის დასაწყისშივე შესამჩნევი იყო, რომ დინამოელები თითქოს ზედმეტად ფრთხილობენო, მაშინვე არ გადავიდნენ სწრაფ ტემპზე, გადამწყვეტ იერიშებზე და როცა პირველი 10–15 წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ „სტანდარდს“ მაინცდამაინც არ უჭირდა მასპინძლებთან ბრძოლა, სტუმრებმაც თანდათან გაშალეს შეტევა. თბილისელები კარგა ხანს შუა მინდორში განაგრძობდნენ თამაშს, ღრმა ზურგში იყო დაწეული გუნდის დისპეტჩერი ყიფიანი, რომლის შორეულ გადაცემას ბელგიელთა მცველები დროზე უღებდნენ ალღოს და მეტოქეებს ასწრებდნენ ბურთის დაუფლებას. „სტანდარდის“ მოთამაშეები შესანიშნავად ფლობენ მეტოქეთა „თამაშგარე მდგომარეობაში“ ჩაგდების ტაქტიკურ ხერხს და სისტემატურად მიმართავდნენ მას, დინამოელებმა კი ეს არ გაითვალისწინეს, მათი მრავალი შეტევა ადრევე იშლებოდა და იერიშს აკლდა სიმწვავე.

მატჩის პირველ ნახევარში თბილისელებმა სულ ორიოდე საპასუხო მომენტი თუ შექმნეს „სტანდარდის“ კართან, ეს კი ძალიან ცოტაა ასეთი გამოცდილი, ძლიერი გუნდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მე–40 წუთზე ბელგიელებმა მოულოდნელი კონტრიერიში განავითარეს, მინდვრის შუაგულიდან მიღებული ბურთით ტაჰამატა გავიდა მარცხენა ფლანგზე, წამით განთავისუფლდა და კარის წინ ჩააწოდა, სადაც ამ მომენტში სწრაფად შეიჭრა დაარდენი. მან თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში – 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა რამდენადმე გააძლიერეს თამაში, შეტევებსაც მოუმატეს, მაგრამ მაინც არ იგრძნობოდა ის შეუპოვარი ლტოლვა გამარჯვებისაკენ, რითაც ასე გამოირჩევა ხოლმე ჩვენი გუნდი. პრიუდომის კართან შექმნილი რამდენიმე მომენტი აშკარად არ იყო საკმარისი. ბელგიელთა დაცვა მოქმედებდა პრაქტიკულად უშეცდომოდ, უკანა ხაზზე ხშირად ჩამოდიოდნენ ნახევარმცველები და საკმარისი იყო ერთ–ერთი მათგანი დაუფლებოდა ბურთს, რომ წამსვე ხორციელდებოდა საპასუხო იერიში.

დინამოელები მატჩის წაგების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ბოლო 10 წუთის განმავლობაში სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ამრიგად, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი შინ წავაგეთ. ყველასთვის ნათელია, რომ ლიეჟის „სტანდარდი“ ძალზე ძლიერი გუნდია, ამიტომ საპასუხო მატჩისთვის თბილისელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, მაქსიმალური ძალით და შემართებით იბრძოლონ, რათა გამოასწორონ მდგომარეობა.

ბ. ქორქია.

მატჩის შემდეგ

ჩვენი მეტოქეების ბანაკში დიდი გამოცოცხლება სუფევდა. „სტანდარდის“ თანმხლებმა ჟურნალისტებმა გასახდელში შესვლა არ აცალეს გუნდის უფროს მწვრთნელს რ. გუტალსს და გზაშივე გაიმართა სახელდახელო პრესკონფერენცია.

აი, რა განუცხადა პრესის მუშაკებს რ. გუტალსმა.

– ვიცოდი, რომ საქმე გვქონდა ძალზე სერიოზულ მეტოქესთან და ამიტომაც საგანგებოდ მოვემზადეთ. ვიცოდით ისიც, რომ „დინამო“ იოლად არ დათმობდა თამაშს და მზად ვიყავით დიდი სამუშაო გაგვეწია მინდორზე, მაგრამ თვით თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ახლა სეზონის შუაგულია და გუნდი კარგ სპორტულ ფორმაშია, ჩვენს ფეხბურთელებს უდიდესი ჯაფა დაადგათ. მოხარული ვარ, რომ მათ ღირსეულად გაართვეს თავი სიძნელეებს.

გაგვიმართლა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმაც, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ თამაში წინ წაწეულ ტაჰამატაზე იყო აგებული. მიუხედავად იმისა, რომ მას გულდაგულ დარაჯობდნენ, ტაჰამატამ მაინც თქვა თავისი სიტყვა.

ჩვენთვის საინტერესო იყო აგრეთვე „სტანდარდის“ მეორე მწვრთნელის ლეონ სემელინგის აზრიც. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, იგი დაესწრო თბილისელთა საკავშირო პირველობის მატჩს მინსკის „დინამოსთან“. სემელინგმა აღნიშნა, რომ დინამოელთა თამაში არ ჰგავდა გასული შაბათის შეხვედრას, სადაც მათ შესანიშნავი მომზადება და საბრძოლო თვისებები გამოავლინეს.

– გამარჯვება მეტოქის მოედანზე, – თქვა შემდეგ მწვრთნელმა, – ბევრად გვიადვილებს თასის ფინალში გასვლას, მაგრამ საქმე ბოლომდე მიყვანილი მაინც არ არის, ვინაიდან ძლიერი მეტოქე გვყავს „დინამოს“ სახით. მეც და გუტალსიც იმ აზრისა ვართ, რომ თბილისელებმა ამჯერად მთელი თავიანთი შესაძლებლობანი ვერ გამოავლინეს.

„ლელო“, 8 აპრილი, 1982 წ.